



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
EU4Justice

**რეკომენდაციები პენიტენციურ და  
პრობაციის სისტემებში მსჯავრდებულთა  
სარეაბილიტაციო პროცესის  
გაუმჯობესებისთვის  
რეკომენდაციების პაკეტი**



თბილისი, საქართველო

2019

## შინაარსი

შესავალი.....	2
I. სერვისების ნაკლებობა, მდგრადობა და მათი ხარისხის კონტროლის სისტემა .....	
II. ადამიანური რესურსები.....	9
III. პროფესიული განათლება პენიტენციურ დაწესებულებებში და მათ გარეთ.....	10
IV. დასაქმება და თვითდასაქმება .....	11
V. საზოგადოების ჩართულობა და სტიგმის დაძლევა.....	14
VI. გარდამავალი მენეჯმენტი და კოორდინაცია .....	16
VII. კრიმინალური სუბკულტურა .....	18
VIII. ინფრასტრუქტურა .....	19
IX. წამალდამოკიდებულ პირთათვის ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა....	20

„ეს დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია წარმდგენი ორგანიზაცია და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს“.

## შესავალი

წინამდებარე რეკომენდაციების პაკეტი, მართლმსაჯულების სფეროში ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტების ფარგლებში, 10-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ შეიმუშავა. რეკომენდაციების შემუშავების პროცესში მონაწილეობდნენ:

1. არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“;
2. არბაითერ სამარიტერ ბუნდი - ASB;
3. არასამთავრობო ორგანიზაცია „თანხმობა“;
4. საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“;
5. ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის - RIVG;
6. არასამთავრობო ორგანიზაცია „თანადგომა“;
7. დემოკრატიის ინსტიტუტი;
8. წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი - GCRT;
9. ციხის საერთაშორისო რეფორმა - PRI;
10. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი - CSRDG;

დოკუმენტი აერთიანებს 2017-2018 წლებში პრობაციისა და პენიტენციური სისტემების მიმართულებით განხორციელებული კვლევებისა და ანალიზის შედეგად გამოვლენილ ძირითად გამოწვევებს და მიზნად ისახავს, ჩამოაყალიბოს ერთიანი გადაჭრის გზები, ხედვა და შესთავაზოს ისინი პასუხისმგებელ უწყებებს.

რეკომენდაციის პაკეტი დაეფუძნა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული წინამდებარე კვლევების შედეგებს:

- „კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რეაბილიტაციის პროცესის ანალიზი“. ASB, თბ., 2017;
- „ყოფილ პატიმართა და პრობაციონერთა რეაბილიტაცია: საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა“. ASB, თბ., 2017;
- „კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთათვის არსებული საგანმანათლებლო და დასაქმების პროგრამების ანალიზი“, სამაგიდო კვლევის ანგარიში“. საქართველოს ფერმერთა ასოციაცია. თბ., 2018;
- „დასაქმების ბაზრისა და კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა პროფესიული შესაძლებლობები და საჭიროებები“. სიდა, თბ., 2017;
- „პენიტენციური დაწესებულებებიდან მსჯავრდებულთა განთავისუფლებისთვის მომზადების პროცესი, როგორც „გარდამავალი მენეჯმენტის“ შემადგენელი ნაწილი: კვლევის ანგარიში“, ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის, თანადგომა, Mainline Foundation, თბ., 2018;
- „პენიტენციურ დაწესებულებებში წამალდამოკიდებულ პირთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურების სტანდარტები“. თანადგომა, თბ., 2015.

## რეკომენდაციები პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო პროცესის გაუმჯობესებისთვის

კვლევების შედეგად გამოკვეთილ გამოწვევებზე დისკუსიის დაწყება ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, არასამთავრობო და სამთავრობო სექტორებს შორის დიალოგის გაუმჯობესებას და, მეორე მხრივ, სისტემური ხარვეზების აღმოფხვრაზე მუშაობის დაწყებას ერთობლივი ძალისხმევით, რაც საბოლოოდ, სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებაზე დადებითად აისახება.

რეკომენდაციების პაკეტის შემუშავებისას შესაძლებელი გახდა შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

- ⇒ განხორციელებული თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევების შედეგები - ძირითად საკვანძო საკითხთა გამოვლენა და პრიორიტეტულ მიმართულებებზე აქცენტირება;
- ⇒ სერვისის მიმწოდებელ არასამთავრობო ორგანიზაციებში აკუმულირებული გამოცდილება - მეტად პრაქტიკული საკითხების წამოწევა და მათი გადაჭრის გზებზე ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება;
- ⇒ კერძო სექტორის ჩართულობა - მათთან სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობების განსაზღვრა.

რეკომენდაციები წარმოდგენილია თემატური საკითხების შესაბამისად. შედგება ცხრა ძირითადი მიმართულებისგან, რომლებიც, თავის მხრივ, აერთიანებენ რელევანტურ პუნქტებს.

- I. **სერვისების ნაკლებობა, მდგრადობა და მათი ხარისხის კონტროლის სისტემა** - მოიცავს ინფორმაციას იმ გამოწვევების შესახებ, რომლებიც არსებობს სერვისების ნაკლებობასთან, მათ მდგრადობასა და ამ სერვისების ხარისხის შეფასების სისტემასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ამავე თავშია წარმოდგენილი ინფორმაცია ბენეფიციართა მოტივირებასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ;
- II. **ადამიანური რესურსები** - აღნიშნული თავი მოიცავს ინფორმაციას ადამიანური რესურსის მიმართულებით არსებული გამოწვევების შესახებ;
- III. **პროფესიული განათლება პენიტენციურ სისტემაში და მის გარეთ** - აქ წარმოდგენილია პროფესიული განათლების მიწოდების ცენტრალიზებული პროცესის და მოდულური სწავლების საკითხები და რეკომენდაციები;
- IV. **დასაქმება და თვითდასაქმება** - აერთიანებს ინფორმაციას დასაქმების და თვითდასაქმების, შეზღუდული შესაძლებლობების, ხელშემშლელი ფაქტორებისა და კერძო სექტორის მინიმალური ჩართულობის საკითხებზე;
- V. **სტიგმა და საზოგადოების ჩართულობა** - მოიცავს რეკომენდაციებს ცნობიერების ამაღლების აუცილებლობის, ბენეფიციართა მოტივირებისა და საზოგადოების ჩართულობის შესახებ;
- VI. **გარდამავალი მენეჯმენტი და კოორდინაცია** - განიხილავს უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლის პროცედურების, მონაცემთა ერთიანი და სრულყოფილი ბაზების წარმოების და მსჯავრდებულთა გათავისუფლებისთვის მომზადების საკითხებს;
- VII. **კრიმინალური სუბკულტურა** - გამოკვეთს აღნიშნული საკითხის მნიშვნელობას რეაბილიტაციის პროცესთან მიმართებით;

- VIII. **ინფრასტრუქტურა** - აერთიანებს რეკომენდაციებს პენიტენციურ დაწესებულებებსა და მათ გარეთ შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობის კუთხით გამოვლენილი გამოწვევების შესახებ;
- IX. **წამლდამოკიდებულ პირთათვის ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა** - მოიცავს რეკომენდაციებს წამლდამოკიდებულ პირთათვის შესაბამისი სერვისების განვითარების შესახებ.

## I. სერვისების ნაკლებობა, მდგრადობა და მათი ხარისხის კონტროლის სისტემა

### 1.1 სერვისების ნაკლებობა

სერვისების<sup>1</sup> სიმცირე გამოწვევაა როგორც პენიტენციურ დაწესებულებებში, ისე პრობაციის ეროვნულ სააგენტოსა და დანაშაულის პრევენციის ცენტრში. სარეაბილიტაციო სერვისები მხოლოდ რამდენიმე პენიტენციურ დაწესებულებასა ან დიდ ქალაქშია აკუმულირებული და საჭიროა გეოგრაფიული არეალის უფრო მეტად გაზრდა<sup>2</sup>.

კვლევებმა აჩვენა, რომ სერვისების ნაკლებობა, ზემოთ ჩამოთვლილ უწყებებს შორის, ყველაზე მწვავედ დგას პენიტენციურ დაწესებულებაში, ბენეფიციართა<sup>3</sup> დიდი რაოდენობის გათვალისწინებით.<sup>4</sup>

სამაგიდო კვლევების თანახმად, პენიტენციურ სისტემაში შექმნილი 23 სარეაბილიტაციო პროგრამა, რომელთა ნაწილი წარმოადგენს სარეაბილიტაციო ინტერვენციებს - შემეცნებასა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებულ პროგრამებს, ხოლო დანარჩენი - მხოლოდ საინფორმაციო ტიპის ღონისძიებებს, არ არის საკმარისი.<sup>5</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიშის თანახმად, პენიტენციურ დაწესებულებებში პრობლემურია პროფესიული განათლების პროგრამების არამრავალფეროვნება და სპორადულობა.<sup>6</sup>

ამასთანავე, ბენეფიციართათვის განკუთვნილი ფსიქოსოციალური სარეაბილიტაციო პროგრამების ნაკლებობა გამოწვევას წარმოადგენს პენიტენციური დაწესებულების გარეთაც<sup>7</sup>.

#### რეკომენდაცია:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ გაზარდოს ბენეფიციარებისთვის სხვადასხვა სახის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, როგორც საბიუჯეტო დაფინანსების მომატებით, ასევე, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით;

1 სერვისები - იგულისხმობს სარეაბილიტაციო (ფსიქო-სოციალური და სხვა სახის), საგანმანათლებლო და დასაქმების კუთხით არსებულ პროგრამებს;

2 პენიტენციური დაწესებულებებიდან მსჯავრდებულთა განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესი, როგორც „გარდამავალი მენეჯმენტის“ შემადგენელი ნაწილი. 2018. გვ. 68-71;

3 ბენეფიციარი - ტერმინი მოიცავს ჯგუფებს: პატიმარი (მსჯავრდებული), პრობაციონერი, ყოფილი მსჯავრდებული;

4 კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რეაბილიტაციის პროცესის ანალიზი. თბ, 2017, გვ. 55;

5 იქვე, გვ. 56;

6 საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში. გვ. 48;

7 იქვე, გვ. 42-43.

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ბენეფიციართათვის შეიმუშაოს მტკიცებულებებზე (საჭიროებებზე) დაფუძნებული სერვისები;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, პარტნიორ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოს პენიტენციური დაწესებულებების, პრობაციის ბიუროების და დანაშაულის პრევენციის ცენტრის დონეზე მაქსიმალურად მეტი გეოგრაფიული ერთეულის დაფარვა და სფეროს გაფართოება სერვისების განვითარების კუთხით.

## 1.2 სერვისების არასისტემურობა, უწყვეტობისა და მდგრადობის პრობლემა. ჰოლისტიკური (კომპლექსური) მიდგომის ნაკლებობა

კვლევებმა აჩვენა, რომ სხვადასხვა სახის სერვისების ცალკეული კომპონენტი, პროექტი და ამა თუ იმ უწყების აქტივობა არ არის ერთი ხედვის ნაწილი; სერვისები/პროგრამები არ იგეგმება ერთიანად და მრავალწლიანი პერსპექტივით; შეინიშნება პროგრამების დანერგვის ფრაგმენტულობა და კომპლექსური მიდგომის ნაკლებობა<sup>8</sup>. აღნიშნული ეხება როგორც პროფესიული განათლების, ასევე, დასაქმებისა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მიმართულებებს.

ასევე, გამოიკვეთა, რომ არ არის უზრუნველყოფილი პროგრამების უწყვეტობა პატიმრის პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრის დღიდან გათავისუფლების შემდგომი პერიოდის ჩათვლით.

### რეკომენდაცია:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, სახელმწიფო უწყებებთან და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის გზით, აწარმოოს შესაბამისი ანალიზი პროგრამების მიზნობრიობის განსასაზღვრად და უზრუნველყოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული, სხვადასხვა სახის სერვისების უწყვეტად მიწოდება ბენეფიციარებისთვის.

## 1.3 სერვისების ხარისხის კონტროლის სისტემა

სერვისების ხარისხისა და მათი საჭიროების შესახებ დასკვნა კეთდება იქიდან გამომდინარე, მიეწოდა თუ არა ბენეფიციარს სასურველი პროგრამა. როგორც კვლევამ აჩვენა, თითოეული ბენეფიციარის საქმის დახურვის, ასევე მონიტორინგის ჩატარების შემდეგ სოციალური მუშაკი, ბენეფიციართან მუშაობაში ჩართულ სხვა სპეციალისტებთან ერთად (ასეთების არსებობის შემთხვევაში, მაგ. ფსიქოლოგი), წერს დასკვნას, თუ რა გაკეთდა და რამდენად მიაღწია ბენეფიციარმა შედეგს. მაგალითად, დანაშაულის პრევენციის ცენტრში, ასევე პრობაციის ეროვნულ სააგენტოშიც, ხშირ შემთხვევაში ხდება მხოლოდ ბენეფიციართა ჩართულობის

<sup>8</sup> კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რეაბილიტაციის პროცესის ანალიზი. თბ, 2017, გვ. 59

## რეკომენდაციები პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო პროცესის გაუმჯობესებისთვის

მონიტორინგი და პროგრამისადმი კმაყოფილების გამოვლენა. დროდადრო უკავშირდებიან ბენეფიციარებს პროგრამით კმაყოფილების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, თუმცა ამას არ აქვს სისტემური ხასიათი<sup>9</sup>. ამასთანავე, არ არსებობს სარეაბილიტაციო პროგრამების გრძელვადიანი შედეგების შეფასების პრაქტიკა (გრძელვადიანი შედეგების გაზომვა და დანაშაულის რეციდივზე პროგრამების ზეგავლენის შესწავლა).

იგივე პრობლემა იკვეთება პროფესიული განათლებისა და დასაქმების მიმართულებით. არც პრობაციის ეროვნული სააგენტო და არც დანაშაულის პრევენციის ცენტრი არ შეისწავლიან, თუ რა გავლენა მოახდინა ამა თუ იმ პროფესიულმა კურსმა ბენეფიციართა დასაქმებაზე, რაც დამატებით კოორდინაციის პრობლემაზე მიუთითებს<sup>10</sup>.

უმეტეს შემთხვევებში არ კონტროლდება პროგრამის განმახორციელებელი თანამშრომლების მუშაობა და უშუალოდ პროგრამების ხარისხი - როგორც სარეაბილიტაციო, ისე პროფესიული პროგრამების მიმართულებით, რაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა სამივე (პენიტენციური სისტემა, პრობაციის ეროვნული სააგენტო, დანაშაული პრევენციის ცენტრი) უწყებისთვის.

ამასთანავე, პენიტენციურ სისტემაში დანერგილი ხარისხის კონტროლის მექანიზმები არაერთგვაროვანია და არ არის სისტემატიზირებული. მაგალითად, სერვისის ზოგიერთი მიწოდებელი მის მიერ განხორციელებულ პროგრამასთან დაკავშირებით წერილობით იღებს უკუკავშირს, ხოლო ზოგს ან საერთოდ არ აქვს ასეთი სახის უკუკავშირი, ან აქვს მხოლოდ სიტყვიერი. სუპერვიზიის/მონიტორინგის სისტემის გარკვეული ელემენტები არსებობს იმ შემთხვევებში, როდესაც სერვისის მიწოდებელი უშუალოდ პენიტენციური დეპარტამენტის პერსონალია. გარე ორგანიზაციების მიერ მიწოდებული სერვისების სუპერვიზია ხშირ შემთხვევაში არ ხდება. გარდა ამისა, რთულია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად ეფექტიანად ხორციელდება სუპერვიზია, თუნდაც პენიტენციური სისტემის თანამშრომლების მიერ მიწოდებულ სერვისებთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე რაიმე სახის ინსტრუქცია და ინსტრუმენტები შემუშავებული არ არის.<sup>11</sup>

### რეკომენდაცია:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში, ასევე დანაშაულის პრევენციის ცენტრში, ნორმატიულად ჩამოაყალიბოს ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი ინსტრუქციები, ინსტრუმენტები და დეტალური პროცედურები, რამაც შესაძლოა, სუპერვიზია/მონიტორინგის, უკუკავშირისა და ანგარიშგების, მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის კომპონენტების ერთიანი ციკლი მოიცვას.

<sup>9</sup> კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რეაბილიტაციის პროცესის ანალიზი. თბ, 2017, გვ. 61-62

<sup>10</sup> პენიტენციური დაწესებულებებიდან მსჯავრდებულთა განთავისუფლებისთვის მომზადების პროცესი, როგორც „გარდამავალი მენეჯმენტის“ შემადგენელი ნაწილი. 2018, გვ. 34-35

<sup>11</sup> იქვე. გვ. 85



#### 1.4 სერვისებში ბენეფიციარების ჩართვის დაბალი მაჩვენებელი და მოტივაციის ნაკლებობა

როგორც კვლევებმა აჩვენა, ბენეფიციარებს, როგორც პენიტენციურ სისტემაში, ასევე პრობაციის ეროვნულ სააგენტოში და დანაშაულის პრევენციის ცენტრის დონეზე, პროგრამებში ჩასართავად დაბალი მოტივაცია აქვთ. ხშირ შემთხვევაში ისინი არ ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას იმ სერვისების შესახებ, რომლებსაც შესაბამისი უწყებები ახორციელებენ. ამ ეტაპზე არ არის ჩამოყალიბებული მოტივირების ეფექტიანი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სისტემა, რაც არსებულ სერვისებს/პროგრამებს ბენეფიციართათვის უფრო მიმზიდველს გახდიდა<sup>12</sup>.

ამის შესახებ ასევე აღნიშნულია საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიშში, რომლის თანახმად, შეინიშნება ბენეფიციართა დაბალი მოტივაცია სხვადასხვა სახის პროგრამებში ჩართვის კუთხით.<sup>13</sup> მოტივაციასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ მსჯელობა გვექნება ასევე შემდეგ თავებში.

##### რეკომენდაცია:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, სხვადასხვა სახის სერვისებში ბენეფიციართა ჩართულობის გაზრდის მიზნით, ჩამოაყალიბოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მოტივირების სისტემა, რომელიც შესაძლოა, მოიცავდეს სხვადასხვა სახის კომპონენტებს.

#### 1.5 აუცილებელი სერვისების წინასწარ განსაზღვრის საჭიროება

კვლევების თანახმად, პენიტენციური დაწესებულებები, დანაშაულის პრევენციის ცენტრი და პრობაციის ეროვნული სააგენტო წინასწარ არ განსაზღვრავენ იმ სერვისებს, რომლებიც ბენეფიციარებს სჭირდებათ. როგორც წესი, იუსტიციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტს, დანაშაულის პრევენციის ცენტრსა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს არ აქვთ წინასწარ განსაზღვრული (მაგალითად, ყოველი წლის დასაწყისში) იმ სერვისების ჩამონათვალი, რომელთა საჭიროებაც შესაძლოა არსებობდეს. აღნიშნული საჭიროებები აუცილებლად უნდა განისაზღვროს მტკიცებულებებზე დაყრდნობით და ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს სერვისის მიმწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის. ამჟამად, გამოწვევაა მტკიცებულებებზე დაფუძნებული სერვისების არსებობა და მათი საჭიროების განსაზღვრა<sup>14</sup>.

##### რეკომენდაცია:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, მტკიცებულებებზე დაყრდნობით, წინასწარ განსაზღვროს იმ სერვისების ჩამონათვალი, რომელთა საჭიროებაც აქვთ ბენეფიციარებს და რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მათთვის.

<sup>12</sup> კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რეაბილიტაციის პროცესის ანალიზი. თბ, 2017, გვ. 65-66

<sup>13</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში. გვ.85. <http://ombudsman.ge/uploads/other/5/5139.pdf>

<sup>14</sup> პენიტენციური დაწესებულებებიდან მსჯავრდებულთა განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესი, როგორც „გარდამავალი მენეჯმენტის“ შემადგენელი ნაწილი. 2018. 109-110

## 1.6 სერვისების შესახებ მოსამართლეების და პროკურორების ინფორმირებულობის ნაკლებობა

განხორციელებული კვლევების საფუძველზე იკვეთება, რომ მოსამართლეებს და პროკურორებს არ აქვთ ინფორმაცია პრობაციის ეროვნული სააგენტოს ან/და დანაშაულის პრევენციის ცენტრის<sup>15</sup> სერვისების შესახებ. ვინაიდან მოსამართლეს აქვს უფლებამოსილება, პირობითი მსჯავრის განსაზღვრისას დააკისროს ბენეფიციარს გარკვეული სახის პროგრამების გავლის ვალდებულება, მნიშვნელოვანია ინფორმირებული იყოს არსებული სერვისების შესახებ. გარდა ამისა, მათ ასევე უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია, თუკი არსებობს ასეთი სახის სერვისები სხვა უწყების (დანაშაულის პრევენციის ცენტრი), ადგილობრივი მუნიციპალიტეტების და არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე. ეს მოსამართლეებს მისცემს შესაძლებლობას, არა მარტო დაავალდებულონ ბენეფიციარები, არამედ მისცენ მათ რეკომენდაცია, რომ სხვა სახის ნებაყოფლობით პროგრამებშიც ჩაერთონ. ანალოგიური სახის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა უნდა ჰქონდეთ ასევე პროკურორებს განრიდების მექანიზმის გამოყენებისას ბენეფიციართათვის აქტივობების შეთავაზების პროცესში.

### რეკომენდაცია:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ უზრუნველყოს მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის სერვისების შესახებ ინფორმაციის (მაგ. სერვისების ბაზის/რუკის) ხელმისაწვდომობა.

## II. ადამიანური რესურსები

როგორც სერვისების მიწოდების კუთხით, ასევე სარეაბილიტაციო პროცესის ეფექტიანად მართვის მიზნით, პირველ რიგში, აუცილებელია სოციალური მუშაკების და ფსიქოლოგების საკმარისი რაოდენობა. კვლევებმა აჩვენა, რომ აღნიშნული გამოწვევას წარმოადგენს როგორც პენიტენციურ სისტემაში<sup>16</sup>, ასევე პრობაციის ეროვნულ სააგენტოსა<sup>17</sup> და დანაშაულის პრევენციის ცენტრში.<sup>18</sup> ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების და შტატების არასაკმარისი რაოდენობაა რეგიონალურ დონეზეც, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს გაწეული სერვისების ხარისხზე, მათ შორის, ბენეფიციარებთან ინდივიდუალური მუშაობის ეფექტიანობაზე. ამავდროულად

<sup>15</sup> კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რეაბილიტაციის პროცესის ანალიზი, თბ, 2017, გვ. 66

<sup>16</sup> კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რეაბილიტაციის პროცესის ანალიზი, თბ, 2017, გვ. 55

<sup>17</sup> იქვე, გვ. 39-40

<sup>18</sup> იქვე, გვ. 39

## რეკომენდაციები პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო პროცესის გაუმჯობესებისთვის

მნიშვნელოვანია ამ პროფესიონალთა უწყვეტი განათლების სისტემის ჩამოყალიბება, პროფესიული ზედამხედველობის უზრუნველყოფა და მათ გადამზადებაზე მუდმივი ზრუნვა.

### რეკომენდაცია:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, საჭიროებებიდან გამომდინარე, ბენეფიციართა რაოდენობის გათვალისწინებით, ეტაპობრივად გაზარდოს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობა პენიტენციურ დაწესებულებებში, პრობაციის ეროვნულ სააგენტოსა და დანაშაულის პრევენციის ცენტრში;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ პერიოდულად შეაფასოს არსებული ადამიანური რესურსები და, საჭიროებიდან გამომდინარე, იზრუნოს მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე შესაბამისი საკვალიფიკაციო ტრენინგებით და უწყვეტი განათლების მიწოდების შესაძლებლობების გაზრდით;
- იუსტიციის სამინისტრომ იზრუნოს ბენეფიციარებთან უშუალოდ მომუშავე პერსონალის პროფესიულ ზედამხედველობაზე, შესაბამისი მხარდაჭერის აღმოჩენასა და ასევე „პროფესიული გადაწვის“ პრევენციაზე.

## III. პროფესიული განათლება პენიტენციურ დაწესებულებებში და მათ გარეთ

### 3.1 გამოწვევები პენიტენციურ დაწესებულებებში პროფესიული განათლების სხვადასხვა ტიპის პროგრამების მიწოდების პროცესში

მოდულური სწავლება ხორციელდება როგორც პენიტენციურ დაწესებულებებში, ისე საზოგადოებრივ კოლეჯებში. პენიტენციურ სისტემაში პროფესიული სწავლება არ არის თანაბრად ხელმისაწვდომი ყველა დაწესებულებაში. იქ, სადაც ხორციელდება ამ ტიპის სწავლება, ბენეფიციარს აქვს საშუალება, მოკლე ვადაში (6 თვე) ერთ-ერთი მოდულის გავლით შესაბამისი კრედიტები მოიპოვოს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში ხშირად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული კურსები მხოლოდ თეორიულ სწავლებას ითვალისწინებს და პრაქტიკულ მეცადინეობებს არ მოიცავს, მაშინ როდესაც ბენეფიციართა ნაწილისთვის, მოდულურ სწავლებასთან შედარებით, უპირატესია პრაქტიკაზე დაფუძნებულ მოკლევადიან (6 თვეზე ნაკლები) პროგრამებში ჩართვა.<sup>19</sup> ამასთანავე, ბენეფიციარებს, როგორც წესი, არ აქვთ სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით რეგიონებში.

<sup>19</sup> „დასაქმების ბაზრის და კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა პროფესიული შესაძლებლობები და საჭიროებები“. თბ., 2017, გვ. 12

## რეკომენდაციები პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო პროცესის გაუმჯობესებისთვის

ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ პროფესიული განათლების მიმწოდებელმა, სწავლების პარალელურად, შექმნას პრაქტიკული აღჭურვილობის ბაზა და აღნიშნულის საშუალებით მიაწოდოს სასწავლო კურსი.

### რეკომენდაცია:

- იუსტიციის სამინისტრომ, პროგრამის მიმწოდებლებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოს ბენეფიციართა ინფორმირება ხელმისაწვდომი პროფესიული სწავლების პროგრამების შესახებ;
- იუსტიციის სამინისტრომ, ყველა კომპეტენტური პარტნიორის შიდა და გარე რესურსების და ბენეფიციარების საჭიროებების გათვალისწინებით, უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში, როგორც მოდულური, ისე შედარებით მოკლევადიანი, პრაქტიკაზე დაფუძნებული პროფესიული სწავლების დანერგვა, რაც ბენეფიციარს მისცემს შესაძლებლობას, გააკეთოს არჩევანი შეთავაზებულ პროგრამებს შორის. ამასთანავე, მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების მიმწოდებელმა სწავლების ფარგლებში მოახდინოს პრაქტიკული აღჭურვილობის ბაზის შექმნა და ამის საფუძველზე ბენეფიციარებს პრაქტიკული უნარების განვითარების შესაძლებლობა მისცეს.

### 3.2 გამოწვევები ბენეფიციართათვის პროფესიული განათლების სხვადასხვა ტიპის პროგრამების მიწოდების პროცესში

მიუხედავად ბოლო თვეებში განხორციელებული სტრუქტურული და პროცედურული ცვლილებებისა, კვლავ პრობლემად რჩება ის, რომ სახელმწიფო პროფესიული განათლების პროგრამა ფარავს მხოლოდ პრობაციონებს და არ მოიცავს ყოფილი პატიმრების ჩართვას პროფესიული განათლების არსებულ პროგრამაში. იუსტიციისა და განათლების და მეცნიერების სამინისტროებს შორის არაკოორდინირებული მუშაობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რადგან ვერ უზრუნველყოფს ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროგრამების თანაბრად მიწოდებას როგორც პრობაციონერთათვის, ისე ყოფილი პატიმრებისთვის.

ასევე, პროფესიული განათლების პროგრამებში ჩართულ პირთა შესახებ ინფორმაციის გაცვლას არ აქვს სისტემური ხასიათი.

### რეკომენდაცია:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, შეიმუშაოს ერთობლივი მექანიზმი (მაგ. მემორანდუმის სახით), რაც ხელს შეუწყობს ერთიანი პროფესიული განათლების პროგრამის ჩამოყალიბებას და მისი განხორციელების პროცესის გაუმჯობესებას.

### 3.3 პროფილური ორგანიზაციებისა და იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლობის მექანიზმი პროფესიული განათლების მიწოდებისას

პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები პროფესიული განათლების მიღების მსურველი ბენეფიციარების სიებს პირდაპირ ვერ აგზავნიან განათლების სამინისტროში. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ ის პროგრამები, რომლებსაც ბენეფიციარებს არასამთავრობო ორგანიზაციები სთავაზობენ, არ არის აკრედიტებული.

#### რეკომენდაცია:

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, განსაზღვროს აკრედიტებული და არაკრედიტებული პროფესიული განათლების პროგრამების მიწოდების პროცედურები;

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, უზრუნველყოს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მოკლევადიანი პროფესიული პროგრამების მიწოდების პროცესში პროფილური ორგანიზაციების ჩართულობა, რისთვისაც ორგანიზაციები კონკურსის წესით შეირჩევიან.

## IV. დასაქმება და თვითდასაქმება

### 4.1 თვითდასაქმების ნაკლები შესაძლებლობები

პრობაციონერთა და ყოფილ მსჯავრდებულთა თვითდასაქმების ხელშეწყობის არარსებობა, კვლევების თანახმად, ერთ-ერთი გამოწვევაა. ამ კუთხით მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების ერთობლივი ძალისხმევა პრობაციონერთა და ყოფილ მსჯავრდებულთა თვითდასაქმების ხელშეწყობად. თუ პრობაციონერებს და ყოფილ მსჯავრდებულებს მიეცემათ საშუალება, აიმაღლონ კვალიფიკაცია ან შეიძინონ ბაზარზე მოთხოვნი პროფესია, გაიზრდება მათი თვითდასაქმების შესაძლებლობები. ამიტომ, მნიშვნელოვანია, გატარდეს ღონისძიებები ყოფილ მსჯავრდებულთა და პრობაციონერთა პროფესიული გაძლიერების კუთხით.

ამას გარდა, ნასამართლობა ყოფილ პატიმრებს ხელს უშლის დასაქმებაში. ბევრ ყოფილ მსჯავრდებულს სწორედ ნასამართლობის გაქარწყლებისთვის საჭირო პერიოდში ამ სტატუსის გამო ეთქვა უარი დასაქმებაზე. ნასამართლობა დასაქმებაში ხელს უშლის არა მხოლოდ უშუალოდ ბენეფიციარებს, არამედ მათი ოჯახის წევრებსაც.

#### რეკომენდაცია:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ გააძლიეროს არსებული ბიზნესინიციატივების მხარდამჭერი პროგრამა და გაავრცელოს პრობაციონერებზე/ყოფილ მსჯავრდებულებზე;

## რეკომენდაციები პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო პროცესის გაუმჯობესებისთვის

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მატერიალური მხარდაჭერა გაუწიოს პროფილურ ორგანიზაციებს და უზრუნველყოს ბიზნესტრენინგების მიწოდება ბენეფიციართათვის, მათი თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ საკანონმდებლო ინიციატივით მიმართოს საქართველოს პარლამენტს, რათა კანონმდებლობაში ცვლილება შევიდეს და ბენეფიციართათვის ნასამართლობის გაქარწყლების ლიბერალური სისტემა ჩამოყალიბდეს.

### პუნქტი 4.2 სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობა ყოფილი მსჯავრდებულებისა და პრობაციონერების დასაქმების მიზნით

კვლევების თანახმად, სოციალური საწარმოების არსებობა, სადაც ყოფილი პატიმრები მუშაობენ, მსოფლიოში აქტიურად გამოყენებული პრაქტიკაა და წარმოადგენს განმეორებითი დანაშაულის შემცირების წარმატებულ მოდელს. ასეთ საწარმოში მუშაობის დიდ სურვილს გამოთქვამენ თავად კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები, რადგან სოციალური საწარმოს მისია ორიენტირებულია საზოგადოებრივ ცვლილებებზე და თავისუფალია სტერეოტიპული დამოკიდებულებისაგან.<sup>20</sup> სოციალური საწარმოების მოდელი კარგად აპრობირებულია ინგლისსა და უელსში. აღნიშნულ ქვეყნებში, სოციალურ საწარმოს დიდი როლი აქვს ყოფილ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის კუთხით<sup>21</sup>.

#### რეკომენდაცია:

- იუსტიციის სამინისტრომ ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად განახორციელოს სოციალური საწარმოს პოპულარიზაცია და კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა დასაქმების წახალისება სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობით.

### 4.3 სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა - თვითდასაქმების შემაფერხებელი ფაქტორი

იმ პირებისთვის, რომლებიც ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის ჩადენისთვის იყვნენ ნასამართლევნი, განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის ჩამორთმევა, რაც ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონით არის დადგენილი. როგორც კვლევებმა აჩვენა, მართვის მოწმობის არქონა მათ ხელს უშლის დასაქმებაში. მათ არ აქვთ ტაქსის მძღოლად, დისტრიბუტორად და სხვა მსგავს პოზიციებზე მუშაობის საშუალება, სადაც ტრანსპორტის მართვაა გათვალისწინებული.<sup>22</sup>

<sup>20</sup> კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რეაბილიტაციის პროცესის ანალიზი, თბ, 2017, გვ. 67

<sup>21</sup> ყოფილ პატიმართა და პრობაციონერთა რეაბილიტაცია: საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა, თბ, 2017

<sup>22</sup> კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთათვის არსებული საგანმანათლებლო და დასაქმების პროგრამების ანალიზი (სამაგიდო კვლევის ანგარიში), თბ., 2017-2018, გვ. 29

კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რეაბილიტაციის პროცესის ანალიზი, თბ, 2017, გვ. 46

**რეკომენდაცია:**

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საკანონმდებლო ინიციატივით შევიდეს პარლამენტში, რათა საკანონმდებლო დონეზე მოხდეს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევის ჩანაწერის გადახედვა და ვადების ლიბერალიზაცია.

**4.4 ბიზნესსექტორისთვის მოტივაციის გაზრდა დასაქმების პროგრამებში ჩასართავად**

ბიზნესსექტორს ესაჭიროება მოტივაციის გაზრდა და მეტი ინფორმაცია, რათა ჩაერთოს პენიტენციურ დაწესებულებებში, ასევე ამ დაწესებულებებს გარეთ მსჯავრდებულთა/ყოფილ მსჯავრდებულთა დასაქმების პროგრამებში. ერთი მხრივ, ბიზნესს არ აქვს საკმარისი ინფორმაცია ბენეფიციართა დასაქმების საჭიროებების შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, დაბალია ბიზნესის ნდობა ამ სტატუსის მქონე ბენეფიციართა მიმართ<sup>23</sup>.

**რეკომენდაცია:**

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მოახდინოს ბიზნესსექტორის დაინტერესება დასაქმების პროგრამებში ჩართვის კუთხით, რათა შედეგად შეიქმნას და გაძლიერდეს დასაქმების კერები;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშაოს ერთიანი ხედვა და მექანიზმი კერძო სექტორის წახალისების მიზნით, რაც შესაძლოა, გამოიხატებოდეს მაღლობის გამოცხადებით, ჯილდოს დაწესებითა ან/და სხვა სახის აქტივობით. ამასთანავე, გარდა საგადასახადო შეღავათებისა, შესაძლოა მოფიქრებულ იქნეს სხვა სახის მექანიზმები საწყის ეტაპზე კერძო სექტორის მოტივაციის ასამაღლებლად.

## IV. საზოგადოების ჩართულობა და სტიგმის დაძლევა

**5.1 საზოგადოების წევრების („community work“) ჩართულობის, მათ შორის, ბენეფიციართა ოჯახებთან მუშაობის ნაკლებობა**

კვლევის თანახმად, პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ შემოთავაზებულ პროგრამებს საზოგადოებასთან ურთიერთობის ან საზოგადოების წევრების ჩართულობის („community involvement“), მათ შორის, ბენეფიციართა ოჯახის წევრების ჩართულობის მნიშვნელოვანი კომპონენტი არ ახასიათებს<sup>24</sup>. საერთაშორისო კვლევებით

<sup>23</sup> „დასაქმების ბაზრის და კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა პროფესიული შესაძლებლობები და საჭიროებები“. თბ., 2017, გვ.63

<sup>24</sup> კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რეაბილიტაციის პროცესის ანალიზი. თბ, 2017

დასტურდება, რომ ბენეფიციარებთან საზოგადოებრივი ჩართულობის პროგრამებით მუშაობა არსებითად ამცირებს რეციდივს და აიოლებს მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას<sup>25</sup>.

**რეკომენდაცია:**

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ უზრუნველყოს ბენეფიციართა რეინტეგრაციის პროცესში საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა;

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ უზრუნველყოს ბენეფიციართა ოჯახებთან მუშაობის გაძლიერება, მათ შორის, მათთვის საჭიროებებზე დაფუძნებული სარეაბილიტაციო პროგრამების მიწოდება.

**5.2 საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება ბენეფიციართა რესოციალიზაციის დადებით შედეგებთან დაკავშირებით**

კვლევის თანახმად, ბენეფიციართა რეაბილიტაციის პროცესს ხელს უშლის საზოგადოების მხრიდან უნდობლობის მაღალი მაჩვენებელი და ყოფილ პატიმართა მიმართ საზოგადოების წინასწარ უარყოფითი განწყობა<sup>26</sup>. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მხრიდან საჭიროა სტიგმის შესამცირებლად სოციალური კამპანიის წარმოება/საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება, ბენეფიციართა რესოციალიზაციის დადებითი შედეგებისა და წარმატებული მაგალითების შესახებ ინფორმაციების გავრცელება.

კვლევების თანახმად, ის დადებითი გამოცდილება, რომელიც ბენეფიციართა დასაქმების კუთხით არსებობს, მნიშვნელოვანია, მედიის საშუალებით გაუზიარონ როგორც კონკრეტულად პოტენციურ დამსაქმებლებს, ასევე საზოგადოების სხვა წევრებსაც.<sup>27</sup>

**რეკომენდაცია:**

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ სტიგმის შესამცირებლად განახორციელოს სოციალური კამპანია და ამ გზით გაზარდოს საზოგადოების ცნობიერება ბენეფიციართა რესოციალიზაციის დადებითი შედეგების შესახებ, მათ შორის - ამ სფეროში მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმატებული მაგალითების შესახებ;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, ბენეფიციართა ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, დაგეგმოს აქტივობები საზოგადოებაში სოციალური პასუხისმგებლობის გასაზრდელად.

<sup>25</sup> Paige Paulson, The Role of Community Based Programs in Reducing Recidivism in Ex-Offenders, [https://sophia.stkate.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1249&context=msw\\_papers](https://sophia.stkate.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1249&context=msw_papers), 55-56

<sup>26</sup> კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რეაბილიტაციის პროცესის ანალიზი. თბ., 2017

„დასაქმების ბაზრის და კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა პროფესიული შესაძლებლობები და საჭიროებები“. თბ., 2017. გვ.10

<sup>27</sup> კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რეაბილიტაციის პროცესის ანალიზი. თბ., 2017, გვ. 67.



## V. გარდამავალი მენეჯმენტი და კოორდინაცია

### 6.1 სერვისების ერთიანი ბაზების და შესაბამისი რუკის არარსებობა

როგორც კვლევებმა<sup>28</sup> აჩვენა, არ არსებობს სხვადასხვა სახის სერვისების ისეთი ბაზები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნებოდა სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის. აღნიშნული ბაზები სასურველია, შეიცავდეს უახლეს ინფორმაციას როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო სექტორში მიმდინარე და წარსულში განხორციელებული პროგრამების შესახებ. ამგვარი ბაზის არარსებობა, ბუნებრივია, ხელს უშლის როგორც პროგრამების ეფექტურ დაგეგმვას და მათ მიერ ერთმანეთის გადაფარვის თავიდან აცილებას, ისე ორგანიზაციიდან ორგანიზაციაში ბენეფიციარების გადამისამართების შესაძლებლობას სასურველი სერვისის მისაღებად. არსებული პრაქტიკით იკვეთება, რომ მიმდინარე პროგრამების შესახებ ინფორმაციის არარსებობის გამო ორგანიზაციები ზოგჯერ ბენეფიციარებს ერთსა და იმავე სერვისს სთავაზობენ, სხვა საჭირო სერვისები კი საერთოდ არ არის მიწოდებული.

გარდა ამისა, მტკიცებულებებზე დაყრდობით უნდა იქნეს იდენტიფიცირებული იმ სერვისების ჩამონათვალი, რომლებიც სჭირდება იუსტიციის სამინისტროს, როგორც პენიტენციურ დაწესებულებებში, ასევე პრობაციის ეროვნული სააგენტოში და დანაშაულის პრევენციის დონეზე.

#### რეკომენდაცია:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშაოს ბენეფიციართა სერვისებში ჩართვის შესახებ ერთიანი მონაცემთა ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება შესაბამისი სამთავრობო უწყებებისა და სერვისის მიმწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რაც უზრუნველყოფს ადამიანური და მატერიალური რესურსების დაზოგვასა და რეაბილიტაციის პროცესის უწყვეტობას.

### 6.2 ბენეფიციართა რეინტეგრაციის პროცესში მუნიციპალიტეტების ჩართულობის მექანიზმის ნაკლებობა

სერვისების მიწოდების პროცესში მუნიციპალიტეტების ჩართულობის მექანიზმი არ არის განვითარებული. არსებობს მხოლოდ რამდენიმე მემორანდუმი, თუმცა მათი გაფორმება და ამ გზით უწყებათაშორისი თანამშრომლობა სისტემურ ხასიათს არ ატარებს<sup>29</sup>.

<sup>28</sup> კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რეაბილიტაციის პროცესის ანალიზი. თბ., 2017, გვ. 59.

<sup>29</sup> კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რეაბილიტაციის პროცესის ანალიზი. თბ., 2017, გვ. 61.

კვლევების თანახმად, დღეისთვის დაბალია ბენეფიციართათვის სერვისების მიწოდების პროცესში მუნიციპალიტეტების მონაწილეობა და სუსტია მათი ჩართვის მექანიზმები. სასურველია, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებსა და სახელმწიფო უწყებებს შორის ჩამოყალიბდეს კომუნიკაციის ეფექტური მექანიზმი.<sup>30</sup>

### **რეკომენდაცია:**

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, სხვა სახელმწიფო უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით, პოლიტიკის ფორმირების პროცესში მოახდინოს მუნიციპალიტეტების ჩართულობის საჭიროებების განსაზღვრა;

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, სხვა სახელმწიფო უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით, ჩამოაყალიბოს უწყებათაშორისი თანამშრომლობის ეფექტიანი სისტემა, სადაც განსაზღვრული იქნება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების როლი და ფუნქცია.

### **6.3 უწყებათაშორისი თანამშრომლობის პრობლემა პენიტენციურ დაწესებულებებს, პრობაციის სააგენტოსა და დანაშაულის პრევენციის ცენტრს შორის**

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ პენიტენციური სისტემიდან მსჯავრდებულთა გათავისუფლებისთვის მომზადების პროცესში პენიტენციურ დეპარტამენტსა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის თანამშრომლობა იწყება მხოლოდ მსჯავრდებულის შესაძლო ვადაზე ადრე გათავისუფლებამდე (ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლამდე) 3 თვით ადრე. ეს თანამშრომლობა ამ ეტაპზე შემოიფარგლება ქალ და არასრულწლოვან მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესით. ასევე ეს პროცესი უკვე ეხებათ N16 დაბალი რისკის პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს.<sup>31</sup>

ხოლო, პენიტენციურ დეპარტამენტსა და დანაშაულის პრევენციის ცენტრს შორის დღეს არსებული თანამშრომლობა შემოიფარგლება მხოლოდ ბენეფიციართათვის ინფორმაციის მიწოდებით, თუ რა სახის სერვისებზე შეიძლება ჰქონდეთ წვდომა გათავისუფლების შემდეგ. მხოლოდ აღნიშნული აქტივობა არ წარმოადგენს გათავისუფლებისთვის მომზადების პროცესის ეფექტურ მექანიზმს. ამ კუთხით აშკარად გამოიკვეთა უწყებებს შორის თანამშრომლობის ხარვეზები, განსაკუთრებით ბენეფიციართათვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდების კუთხით, თუ რა როლი აქვს დანაშაულის პრევენციის ცენტრს და რას სთავაზობს მათ გათავისუფლების შემდეგ.<sup>32</sup>

<sup>30</sup> იქვე, გვ. 66.

<sup>31</sup> პენიტენციური დაწესებულებებიდან მსჯავრდებულთა განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესი, როგორც „გარდამავალი მენეჯმენტის“ შემადგენელი ნაწილი. თბ., 2018, გვ.113.

<sup>32</sup> იქვე, გვ., 57-58.

**რეკომენდაცია:**

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, გათავისუფლებისთვის მომზადების სისტემის სრულყოფილად ჩამოყალიბებამდე, იმ დაწესებულებებში, სადაც პენიტენციურ დეპარტამენტსა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს/დანაშაულის პრევენციის ცენტრს შორის თანამშრომლობის პროცესი არ არის რეგულირებული, ჩამოაყალიბოს უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლის სისტემა;

- გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის ფარგლებში დაინერგოს მსჯავრდებულთათვის უწყებების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ეფექტური მექანიზმები;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ჩამოაყალიბოს გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის დანერგვის მკაფიო ხედვა სხვადასხვა პენიტენციური დაწესებულებების მიხედვით და გაწეროს გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამაში მსჯავრდებულთა ჩართვის მკაფიო კრიტერიუმები.

## VI. კრიმინალური სუბკულტურა

როგორც კვლევებმა აჩვენა, ბენეფიციართათვის სერვისების მიწოდების პროცესში კრიმინალური სუბკულტურა ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორია. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ვერ ხორციელდება სხვადასხვა სახის სერვისებში ბენეფიციართათა ჩართვა, კრიმინალური სუბკულტურაა.<sup>33</sup> კვლევები აჩვენებს, რომ კრიმინალურ სუბკულტურაში არსებული წესების თანახმად, საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებში ბენეფიციართა ჩართვა ცუდ ტონად ითვლება პატიმართა გარკვეულ ჯგუფებს შორის, რის გამოც აღნიშნული ფაქტორი შესაძლოა, გავლენას ახდენდეს ბენეფიციართა მოტივაციაზე<sup>34</sup>.

**რეკომენდაცია:**

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ჩამოაყალიბოს პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურის გავლენის შემცირების მოკლევადიანი და გრძელვადიანი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გეგმა.

<sup>33</sup> პენიტენციური დაწესებულებებიდან მსჯავრდებულთა განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესი, როგორც „გარდამავალი მენეჯმენტის“ შემადგენელი ნაწილი. თბ., 2018

<sup>34</sup> პენიტენციური დაწესებულებებიდან მსჯავრდებულთა განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესი, როგორც „გარდამავალი მენეჯმენტის“ შემადგენელი ნაწილი. თბ., 2018, იქვე, გვ. 65-66.

## VIII. ინფრასტრუქტურა

---

ადეკვატური ინფრასტრუქტურის არსებობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია პენიტენციურ დაწესებულებებში შესაბამისი სერვისების ორგანიზებისთვის. კვლევებმა აჩვენა, რომ ამ ეტაპზე არ არის ჩამოყალიბებული ინფრასტრუქტურის განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმა. ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემები (შესაბამისი სივრცეების არარსებობა) აფერხებს ბენეფიციართა ეფექტიანი რეაბილიტაციის პროცესს და პატიმართა ეფექტიან კლასიფიცირებას რისკების მიხედვით. ეს ერთ-ერთ გამოწვევაა კრიმინალური სუბკულტურის გავლენების შემცირების კუთხითაც, რაც ამავდროულად ხელს უშლის სარეაბილიტაციო პროცესის ეფექტურ ორგანიზებას.<sup>35</sup>

### რეკომენდაცია:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ჩამოაყალიბოს ინფრასტრუქტურის განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გეგმა.

---

<sup>35</sup> პენიტენციური დაწესებულებებიდან მსჯავრდებულთა განთავისუფლებისათვის მომზადების პროცესი, როგორც „გარდამავალი მენეჯმენტის“ შემადგენელი ნაწილი. თბ., 2018, იქვე, გვ. 64.

## X. წამალდამოკიდებულ პირთათვის ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

პენიტენციური სისტემაში წამალდამოკიდებულ პირთათვის ამჟამად მხოლოდ მეთადონით დეტოქსიკაციის პროგრამა ფუნქციონირებს, თუმცა ანალიზმა/კვლევებმა გამოკვეთა<sup>36</sup>, რომ ხშირ შემთხვევაში პაციენტების/პატიმრებისთვის საჭიროა სხვა მხარდამჭერი გრძელვადიანი პროგრამა (მაგ. მეთადონით ჩანაცვლების თერაპია). მძიმე პაციენტებში ზოგ შემთხვევაში შეუძლებელია აღკვეთის სინდრომის მოხსნა იმ ვადებში, რაც შესაბამისი რეგულაციებით არის დადგენილი. ამ დეფიციტის გამო პატიმრები, რომლებსაც მსგავსი მხარდამჭერა ესაჭიროებათ, ხშირ შემთხვევაში ხდებიან ფსიქოტროპულ მედიკამენტებზე არასწორი ფორმით დამოკიდებულნი, რამაც შესაძლოა, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მათ ჯანმრთელობას.

წამალდამოკიდებული პირებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სამკურნალო-სარეაბილიტაციო პროგრამებზე უნივერსალური ხელმისაწვდომობა. კერძოდ, პენიტენციურ დაწესებულებებში, დეტოქსიკაციის პროგრამის პარალელურად, უნდა დაინერგოს მეთადონით მხარდამჭერი თერაპია, რათა პატიმრებისთვის, რომლებიც პატიმრობამდე ჩართულნი იყვნენ მეთადონით ჩანაცვლების თერაპიაში, ხელმისაწვდომი იყოს იგივე სერვისი პატიმრობის პირობებშიც.<sup>1</sup> მხოლოდ მეთადონით დეტოქსიკაციის ხანმოკლე პროგრამის პირობებში, რომელიც ხორციელდება N2 და N8 პენიტენციურ დაწესებულებებში, არ არის უზრუნველყოფილი ოპიატის ჯგუფზე დამოკიდებული ადამიანებისთვის სრულყოფილი სამკურნალო პროგრამების ხელმისაწვდომობა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) რეკომენდაციის თანახმად, „ყველა ნარკოლოგიური სერვისი, რომელიც ხელმისაწვდომია ციხის გარეთ, ხელმისაწვდომი უნდა იყოს პატიმრობის პირობებშიც, იმავე ხარისხით და ოდენობით.“<sup>37</sup>

### რეკომენდაცია

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობის გზით, ეტაპობრივად დაინერგოს მეთადონის მხარდამჭერი პროგრამა იმ პენიტენციურ დაწესებულებებში, სადაც ამის საჭიროება ცხადად არის გამოკვეთილი.

<sup>36</sup> „პენიტენციურ დაწესებულებებში წამალდამოკიდებულ პირთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურების სტანდარტები“, თბ., 2015

<sup>37</sup> [http://www.euro.who.int/\\_data/assets/pdf\\_file/0020/249203/Prisons-and-Health,-14-Drug-treatment-and-harm-reduction-in-prisons.pdf](http://www.euro.who.int/_data/assets/pdf_file/0020/249203/Prisons-and-Health,-14-Drug-treatment-and-harm-reduction-in-prisons.pdf)  
[http://www.euro.who.int/\\_data/assets/pdf\\_file/0020/249203/Prisons-and-Health,-14-Drug-treatment-and-harm-reduction-in-prisons.pdf](http://www.euro.who.int/_data/assets/pdf_file/0020/249203/Prisons-and-Health,-14-Drug-treatment-and-harm-reduction-in-prisons.pdf)